

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

— დეკემბერი, 2020 წელი

ქალაქი ბათუმი

„ხელმისაწვდომი საცხოვრისით სარგებლობის კრიტერიუმებისა და ბენეფიციართა შერჩევის ინსტრუმენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 თებერვლის №15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა**:

1. „ხელმისაწვდომი საცხოვრისით სარგებლობის კრიტერიუმებისა და ბენეფიციართა შერჩევის ინსტრუმენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 თებერვლის №15 განკარგულებაში შეტანილ იქნას ცვლილება და განკარგულებით დამტკიცებული დანართი N2-ს - „ხელმისაწვდომი საცხოვრისის ბენეფიციართა შერჩევის ინსტრუმენტი“:

ა) 1.1. პუნქტის მე-2 აბზაცში სიტყვები „სადაც a არის ბინის გადასახადის ყოველთვიური შენატანის ორმაგი ოდენობა“ შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სადაც a არის ბინის გადასახადის ყოველთვიური შენატანის სამმაგი ოდენობა“.

ბ) 1.1. პუნქტის ცხრილი 1-ს პირველ სვეტში სიტყვები „ხელმისაწვდომი საცხოვრისისათვის ყოველთვიური შენატანის ორმაგი ოდენობა - a“ შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ხელმისაწვდომი საცხოვრისისათვის ყოველთვიური შენატანის სამმაგი ოდენობა - a“.

გ) მე-3 პუნქტში სიტყვები „X35 – ოჯახის წევრების ჯამური შემოსავალი თვეში ნაკლებია ხელმისაწვდომი საცხოვრისისათვის ყოველთვიური გადასახადის ორმაგი ოდენობაზე (ცხრილი1-დან)“ და „X37 – ოჯახს დაქირავებული აქვს ბინა, რომლის ყოველთვიური გადასახადიც მეტია ხელმისაწვდომი საცხოვრისისათვის ყოველთვიური გადასახადის ორმაგი ოდენობაზე (ცხრილი 1-დან)“ შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„X35 – ოჯახის წევრების ჯამური შემოსავალი თვეში ნაკლებია ხელმისაწვდომი საცხოვრისისათვის ყოველთვიური გადასახადის სამმაგი ოდენობაზე (ცხრილი1-დან)“.

„X37 – ოჯახს დაქირავებული აქვს ბინა, რომლის ყოველთვიური გადასახადიც მეტია ხელმისაწვდომი საცხოვრისისათვის ყოველთვიური გადასახადის სამმაგი ოდენობაზე (ცხრილი 1-დან)“.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე

განმარტებითი ბარათი პროექტის

სახელწოდება და სათაური

„ხელმისაწვდომი საცხოვრისით სარგებლობის კრიტერიუმებისა და ბენეფიციართა შერჩევის ინსტრუმენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 თებერვლის №15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქ, ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2019 წლის 28 თებერვლის №15 განკარგულებით დამტკიცებული იქნა „ხელმისაწვდომი საცხოვრისით“ სარგებლობის კრიტერიუმები - დანართი N1 და ბენეფიციართა შერჩევის ინსტრუმენტი - დანართი N2. მიმდინარე ეტაპზე დასრულებულია განაცხადების მიღება და შესაბამისი კომისიის მიერ მიმდინარეობს განაცხადების გადარჩევა. წარმოდგენილი ცვლილებების მიზანია დაზუსტდეს დანართი 2-ით (ბენეფიციართა შერჩევის ინსტრუმენტი) განსაზღვრული ბინის გადასახადის ყოველთვიური შენატანის ოდენობა დანართი, კერძოდ ზუსტდება, რომ შემოსავლის ინდექსის გამოსათვლელ ფორმულაში და ცხრილში (1.1. პუნქტი) „ა“-ს მნიშვნელობა ნაცვლად „ბინის გადასახადის ყოველთვიური შენატანის ორმაგი ოდენობა“ განისაზღვრება ბინის გადასახადის ყოველთვიური შენატანის სამმაგი ოდენობით, ხოლო მე-3 პუნქტის (გამფილტრავი კომპონენტი) X_{35} თანამამრავლის მნიშვნელობა ნაცვლად „ოჯახის წევრების ჯამური შემოსავალი თვეში ნაკლებია ხელმისაწვდომი საცხოვრისისათვის ყოველთვიური გადასახადის ორმაგი ოდენობა“ ზუსტდება „ოჯახის წევრების ჯამური შემოსავალი თვეში ნაკლებია ხელმისაწვდომი საცხოვრისისათვის ყოველთვიური გადასახადის სამმაგ ოდენობა“-ით, ხოლო X_{37} თანამამრავლის მნიშვნელობა „ოჯახს დაქირავებული აქვს ბინა, რომლის ყოველთვიური გადასახადიც მეტია ხელმისაწვდომი საცხოვრისისათვის ყოველთვიური გადასახადის ორმაგი ოდენობა“ ზუსტდება „ოჯახს დაქირავებული აქვს ბინა, რომლის ყოველთვიური გადასახადიც მეტია ხელმისაწვდომი საცხოვრისისათვის ყოველთვიური გადასახადის სამმაგ ოდენობა“-ით.

ა.ბ. პროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი ცვლილებების მიხედვით ზუსტდება ბენეფიციართა სარეიტინგო ქულის გამომთვლელ ფორმულაში მონაწილე სიდედების მნიშვნელობა, კერძოდ, შემოსავლის ინდექსის გამოსათვლელ ფორმულაში და ცხრილში (1.1. პუნქტი) „ა“-ს მნიშვნელობა ნაცვლად „ბინის გადასახადის ყოველთვიური შენატანის ორმაგი ოდენობა“ განისაზღვრება ბინის გადასახადის ყოველთვიური შენატანის სამმაგი ოდენობით, ხოლო მე-3 პუნქტის (გამფილტრავი კომპონენტი) X_{35} თანამამრავლის მნიშვნელობა ნაცვლად „ოჯახის წევრების ჯამური შემოსავალი თვეში ნაკლებია ხელმისაწვდომი საცხოვრისისათვის ყოველთვიური გადასახადის ორმაგი ოდენობა“ ზუსტდება „ოჯახის წევრების ჯამური შემოსავალი თვეში ნაკლებია ხელმისაწვდომი საცხოვრისისათვის ყოველთვიური გადასახადის სამმაგ ოდენობა“-ით, ხოლო X_{37} თანამამრავლის მნიშვნელობა „ოჯახს დაქირავებული აქვს ბინა, რომლის ყოველთვიური გადასახადიც მეტია ხელმისაწვდომი საცხოვრისისათვის ყოველთვიური გადასახადის ორმაგი ოდენობა“ ზუსტდება „ოჯახს დაქირავებული აქვს ბინა, რომლის ყოველთვიური გადასახადიც მეტია ხელმისაწვდომი საცხოვრისისათვის ყოველთვიური გადასახადის სამმაგ ოდენობა“-ით.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) განკარგულების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო: არ გამოწვევს ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე - არ გამოიწვევს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციების არ მიღებულა.

ე) პროექტის ავტორი:

მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა,

სახელი, გვარი და ხელმოწერა:

მუნიციპალური ქონების და სერვისების
მართვის სამსახურის უფროსის მ/შ

დავით კოპინაძე